# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 491

„29" დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობების, საკრებულოს აპარატის მოხელეთა/მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის გეგმა**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობების, საკრებულოს აპარატის მოხელეთა/მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის გეგმა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობების, საკრებულოს აპარატის მოხელეთა/მოსამსახურეთა კვალიფიკაციისამაღლების 2016 წლისგეგმა

*დანართი*

| N | პრიორიტეტული მიმართულებები | მოხელეთა რაოდენობა | სწავლების ფორმა | სწავლების პერიოდი/კვარტალი | დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი) | დაფინანსება სხვა წყაროდან |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პროექტებისინიცირებადამართვა | 240 | მოკლევადიანი ტრენინგი | I, IIდაIII კვარტალი | 75 000 | |
| 2 | სახელმწიფოშესყიდვები | 130 | მოკლევადიანი ტრენინგი | I, IIდაIII კვარტალი | 30 000 | |
| 3 | სტრატეგიისდასამოქმედოგეგმისშემუშავება, პრიორიტეტებისგანსაზღვრადარისკებისშეფასება | 130 | მოკლევადიანი ტრენინგი | I და IV კვარტალი | 45 000 | |
| 4 | საქმისწარმოებადადოკუმენტბრუნვა, ადმინისტრაციულიწარმოება კანცელარიის გამართული ფუქციონირებისათვის | 50 | მოკლევადიანი ტრენინგი | I და IV კვარტალი | 30 000 | |
| 5 | გუნდურიმუშაობა და ლიდერობა | 180 | მოკლევადიანი ტრენინგი | II და III კვარტალი | 62 000 | |
| 6 | ინგლისური ენის კურსები | 100 | გრძელვადიანი ტრენინგები | საანგარიშო წლის განმავლობაში | 50 000 | |
| 7 | კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი | 130 | მოკლევადიანი ტრენინგები | II, III და IV კვარტალი | 56 000 | |
| 8 | საჯარო მენეჯმენტი | 140 | მოკლევადიანი ტრენინგები | II, III და IV კვარტალი | 57 000 | |
| 9 | პერსონალური მენეჯმენტი | 140 | მოკლევადიანი ტრენინგები | II, III და IV კვარტალი | 65 000 | |
| | სულ | 1240 | | | 455 000 | |

➢ტრენინგ-საჭიროებათა კვლევაში მონაწილეობა მიიღო და ანკეტა შეავსო 1229 მოხელემ/მოსამსახურემ.

➢ქ. თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში საშტატო განაწილების მიხედვით (დიაგრამა №1, მონაცემები მუნიციპალური ერთეულის 2015 წლის ფაქტიური საშტატო რაოდენობის შესახებ) ტრენინგ-სემინარებში უწყებებიდან მოხელეთა/მოსამსახურეთა ჩართულობის მაჩვენებელი ნაწილდება შემდეგნაირად (დიაგრამა №2):

➢ქ. თბილისის მუნიციპალური ერთეულის 2016 წლის საშტატო რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში, ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა გადანაწილდება სტრუქტურულ ერთეულში მოხელეთა/მოსამსახურეთა პროცენტული რაოდენობის მიხედვით.

**დიაგრამა №1**




**დიაგრამა №2**

